



MES 7 22 0001226269



04/10/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 20. 09. 2022

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 15:15სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.
6. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;

8. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
9. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.
11. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
12. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
13. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გია ნოდია	სსიპ - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	მაკა ლაშხია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და	I

			ხელოვნების ფაკულტეტი	
4	ნინო მატარაძე		დეკანი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	I
5	ზვიად ზალიკიანი		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	I
8	ნინო დობორჯგინიძე	სსიპ - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	ბექან ჯავახია		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	მანანა ჯავახიშვილი		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
12	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
13	ნინო მატარაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	II
14	თორნიკე კახელი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტი	II
15	დავით მახვილაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III,IV,V

		სსიპ - „საქართველო ს ტექნიკური უნივერსიტეტი“		
22	ანთაზ ქიქავა	სსიპ - „ბათუმის შო თა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	VI
23	მერაბ ფუტყარაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	VI
24	ვლადიმერ ლლონტი		ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	VI
25	თეა ქოიავა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	VI
26	ნაზიბროლა ფალავა	სსიპ - „ბათუმის შო თა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი	VII
27	ხათუნა ჭიჭილეიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი, ასისტ. პროფესორი	VII
28	ვლადიმერ ლლონტი		ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის	VII

			სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	
29	თეა ქოიავა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	VII
30	თეა კორძაძე	სსიპ - “აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	VIII
31	ომარი კიკვიძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი	VIII
	პაატა გერაძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VIII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირაკლი ჩხაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I,II
2	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I,II
3	არჩილ მაღალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III,IV
4	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
5	მარიამ ელიზბარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
6	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
7	ალექსანდრე წაქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამთო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრაიშის განხილვა.
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

. არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამთო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.

6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თავისუფალი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული;
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N86 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თავისუფალ მეცნიერებებში BA in Liberal Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი	N/A

	ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0288 Inter-disciplinary programmes and qualifications involving arts and humanities ინტერდისციპლინური –მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
 არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ რჩევები, რომლებიც გაიცა ინსტიტუციისადმი ეხება ტექნიკურ ხარვეზებს. პირველი და მეორე სტანდარტი არის სრულად შესაბამისობაში. მეორე სტანდარტით გამოიყოფა 2.6 კომონენტი, რომელიც მეტწილ შემსაბამისობაშია. მისი აზრით, რჩევები პროგრამის მხრიდან იქნება გათვალისწინებული. ექსპერტის თქმით, ვიზიტი ადგილზე რომ განხორციელდებოდა, შესაძლოა, ის რეკომენდაცია, რაც მათ გასცეს, არ

გაცემულიყო. როგორც მან აღნიშნა, სასურველი იქნებოდა, კვლევის მეთოდებში, გარდა სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდებისა, დაემატოს ჰუმანიტარული კვლევის მეთოდებიც ვინაიდან მოდულებიდან მეტი წილი არის ჰუმანიტარული მეცნიერებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა არის ინტერდისციპლინური, რომელშიც ბევრი სხვადასხვა მიმართულება იფარება, მაგრამ მეტწილად, რასაც პროგრამის გამოცდილება გვიჩვენებს, ძირითადად სტუდენტები მაინც იკვლევენ საკითხებს უფრო სოციალური მეცნიერების მიმართულებით და ამაში მათ ეხმარება სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების კურსი, როგორც საბაკალავრო ნაშრომში, ისე სხვა კომპონენტებში. უსდ-ს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ჰუმანიტარული მეცნიერებების მეთოდებს და თქვა, რომ ეს პროგრამის ბუნებრივი განვითარების ეტაპებია, რათა გაძლიერდეს სხვადასხვა კომპონენტები და აქცენტები გააკეთონ ჰუმანიტარული მიმართულებებით, კვლევების წარმოებაზე და ანალიტიკაზე. ამ ეტაპზე სხვადასხვა კურსებში მათ ჩაშენებული აქვთ კვლევითი ელემენტები. ესეების საფუძველზე ხდება სწავლება და მეტწილად აქ გამოყენებულია შედარებითი მეთოდები, ელემენტები ჰუმანიტარული კვლევის სახით. მინიმალურ ზღვართან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-3 ბრძანება არ ითხოვს იმას, რომ ჯამთან მიმართებაში რაიმე მოთხოვნები არსებობდეს, მთავარია, რომ მათი ჯამი არ აღემატებოდეს 60 ქულას. რაც შეეხება მიდგომას, რასაც ინსტიტუცია იყენებს, უსდ-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია მინიმალური ზღვრები იმისთვის, რომ ეს მოერგოს სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას. თუ სტუდენტი აგროვებს ზღვარს შუალედური შეფასებებისთვის, ნიშნავს იმას, რომ ცოტა მეტი უნდა გააკეთოს დასკვნითი გამოცდისთვის იმისთვის, რომ მოიპოვოს მეორე გამოცდაზე გასვლის უფლება. თითოეულ კურსს აქვს უფლება და შესაძლებლობა, რომ ეს დაარეგულიროს მიზნებიდან, ინტერესებიდან, შედეგებიდან გამომდინარე. მათ სურთ, რომ გაეძლიერებინათ ჰუმანიტარული მეთოდების სწავლება. ხშირია შემთხვევები, როდესაც მაგისტრატურის სტუდენტები მიდიან სოციალური მეცნიერებების ხაზით, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ ჰუმანიტარული მეთოდოლოგია გაძლიერდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:00

დასრულების დრო: 14:19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "თავისუფალი მეცნიერებების" (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თავისუფალი მეცნიერებების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების რუბრიკა დაზუსტდეს, შესაბამისად, დეტალურად იქნას განმარტებული ინგლისური ენის ცოდნის განსაზღვრის საკითხი, ისევე როგორც გარე მობილობისა და უცხოელ მოქალაქეთა პროგრამაზე დაშვების წესი, თუ რა თქმა უნდა დაწესებულებას/ან საგანმანათლებლო პროგრამას არა აქვს რაიმე შეზღუდვა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთული თავისუფალი მეცნიერებების მხოლოდ დამატებითი საბაკალავრო პროგრამა (6 სემესტრი, 60 კრედიტი)
<https://tinyurl.com/yrjyywwa>

გამჭირვალობისა და მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, სასურველია, ძირითადი პროგრამის სრული ვერსიის წარმოდგენაც;

- ძირითადი პროგრამით სწავლის ერთ-ერთი მოთხოვნაა ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობა, მაშინ, როდესაც დამატებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. მსგავსი სხვაობის არსებობის შემთხვევაში, სასურველია შემდგომი განმარტება, შესაბამისად, ნათელი არგუმენტაცია, თუ რატომ განსხვავდება მოთხოვნების დონეები.
- თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაში აღნიშნულია, რომ პროგრამა სტრუქტურულად ინტერდისციპლინურია და აერთიანებს ხუთ ბლოკს, მაშინ როდესაც ჩამოთვლილია ოთხი ბლოკი - ფილოსოფია; ისტორია და პოლიტიკა; ხელოვნება; ლიტერატურა. სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა საგანმანათლებლო პროგრამის დესკრიფციულ ნაწილში.
- სასურველია არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ანუ უკვე წარმოდგენილი სასწავლო კურსში წარმოდგენილი იყო ის არსებითი კვლევის მეთოდები, რაც ტიპობრივი როგორც ჰუმანიტარული, ისე სოციალური მეცნიერებებისათვის.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შუა საუკუნეების კვლევები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის №73 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი შუა საუკუნეების კვლევებში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0288 Inter-disciplinary programmes and qualifications involving arts and humanities ინტერდისციპლინური - მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
 არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ პირველი აკრედიტაციიდან დღემდე პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა ეტაპობრივად გაიზიარა ექსპერტთა და საბჭოს მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები. გაფართოვდა საერთაშორისო თანამშრომლობა სხვადასხვა კვლევითი აკადემიის ფარგლებში, რაც არის შედეგის მომცემი. ასევე გაფართოვდა კომუნიკაცია კვლევისა და სწავლის პროცესში, როგორც ევროპულ, ისე ამერიკულ უნივერსიტეტებთან. ყველა სტანდარტი, რომელიც შემოწმდა მონიტორინგის ფარგლებში (პირველი, მეორე და მეოთხე) არის შესაბამისობაში. რეკომენდაცია იყო გაცემული ზღვრებთან დაკავშირებით, რაზეც უკვე მიიღეს პასუხი. დანარჩენი რჩევებიც ფაქტობრივად მოცემულ პროგრამასთან მიმართებაში არის მინიმალური. რაც შეეხება დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციების დამადასტურებელი საგამოცდო ფორმის დეტალებს, ექსპერტის თქმით, აქ რომ ყოფილიყო კომუნიკაცია პირდაპირ დაწესებულებასთან, უფრო მეტ განმარტებას მიიღებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს
წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო FX შეფასებასთან მიმართებით, რაც უკვე გამოსწორებულია. სხვა შემთხვევაში ყველაფერი იყო სწორად. მან კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:23

დასრულების დრო: 14:26

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების კვლევების" სამაგისტრო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "შუა საუკუნეების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

დაწესებულებას საბოლოოდ განესაზღვრა შემდეგი რეკონენადაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და წარდგენის კონცეფცია შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან.

რჩევები:

- სასურველია პროგრამის კურიკულუმის შესაბამის რუბრიკაში (დაშვების წინაპირობა) საგამოცდო პროცესში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, ასევე აისახოს დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციების დამადასტურებელი საგამოცდო ფორმატის დეტალები.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №706155, 13.07.2021.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო კორპუსი

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
----	-------------------------------------------------------------------------------------	---

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №706156, 13.07.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ

მათი პოზიცია.

ექსპერტმა, არჩილ მაღალაშვილმა აღნიშნა, რომ ის ანგარიში, რომელიც წარმოდგენილი იყო დაწესებულების მიერ, აკმაყოფილებს დასმულ საკითხებს, იმ რეკომენდაციებს და შენიშვნებს, რომელიც იყო გაცემული ექსპერტთა დასკვნაში. მან აღნიშნა, რომ მისი მხრიდან რაიმე არსებითი შენიშვნა ამ პერიოდის განმავლობაში გაკეთებულ ცვლილებებთან დაკავშირებით არ ქონდა. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაციები შესრულებულია. რაც ამოსაღები იყო პროგრამიდან ამოღებულია. მოთხოვნები მიღებასთან დაკავშირებით, შესრულებულია, რაც ორივე პროგრამას ეხება. პრაქტიკულად ყველაფერი ძირითადი, რაც გასაკეთებელი იყო ამ ეტაპზე, გაკეთებულია. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით, პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში რომ უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული, გათვალისწინებულია ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს

წარმოედგინათ მოსაზრებები.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის პროგრამაზე 5 რეკომენდაცია იყო შესასრულებელი. აქედან ყველაზე შრომატევადი იყო კონცენტრაციების ნაწილი, რომელიც ბოლომდე შეასრულა ტექნიკურმა უნივერსიტეტმა. რაც შეეხება დოქტორანტურის ნაწილს, მისი თქმით, ნაშრომის გამოქვეყნების ნაწილი (დოქტორანტების მიერ დაცვამდე წარმოსადგენი) დარეგულირდა და პრაქტიკულადაც პროგრამაში მოწესრიგდა ეს საკითხი. პრობლემა იყო სპეციფიკიდან გამომდინარე ლოკალური სამეცნიერო ლიტერატურის მითითება. მისივე თქმით, თავიდან ბოლომდე ექვსივე რეკომენდაცია სადოქტორო პროგრამისა, შესრულებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:31

დასრულების დრო: 16:36

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

5. საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამთო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამთო ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №694734, 09.07.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე

9	კვალიფიკაციის დასახელება	სამთო და გეოინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება, 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი 50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ.კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
 კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ნინო დონდოლაძემ, აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით „სამთო ტექნოლოგიებს“ მიენიჭა

აკრედიტაცია 7 წლის ვადით და განესაზღვრა მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენა. მისი თქმით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საკითხს, შეასრულა რეკომენდაციები და ცენტრს მიაწოდა საჭირო დოკუმენტაცია თითოეული რეკომენდაციის შესრულების თაობაზე, რამაც ექსპერტს მისცა შესაძლებლობა, ეთქვა, რომ უსდ-ს მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე განსაკუთრებული შრომა გაწია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, რათა ეპასუხა არსებული გამოწვევებისთვის. ინგლისური ენა განისაზღვრა დაშვების წინაპირობად. ის სისუსტე, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნია მაქსიმალურად აქვთ აღნიშნული შედეგების რუკაში, რათა დაზუსტდეს მიღწევის დონეები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:42

დასრულების დრო: 14:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამთო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტლება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამთო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №726054, 20.07.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის	-

	შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დამშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა № 32/35
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
✓ კი

თვითაცილება განაცხადა ანზორ ბერიძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ
მათი პოზიცია.**

ექსპერტმა, მარიამ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც გაეცნო ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების შესახებ, გამოოთხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც მისი აზრით, იყო აუცილებელი რათა ენახა და შეეფასებინა თუ რამდენად სრულყოფილად იყო შესრულებული ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც საბჭოს მიერ განესაზღვრა დაწესებულებას. დამატებითი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა რეკომენდაცია არის გათვალისწინებული, შესრულებული და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს
წარმოედგინათ მოსაზრებები.**

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მიზნად დაისახეს, გაეზიარებინათ და შეესრულებინათ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და იმისთვის, რომ მათი შრომა შესაბამისად იქნა აღწერილი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:51
დასრულების დრო: 14:53**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტლება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №776809, 06.08.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური გეოგრაფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები Earth Sciences
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
 კი

თვითაცილება განაცხადა ანზორ ბერიძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, რომ "ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები მთლიანად არის შესრულებული. სამუშაო ჯგუფმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა იმუშავეს და ყველა ის შენიშვნა, რომელიც განისაზღვრა საბჭოს მიერ, სრულად გათვალისწინებულია. ექსპერტის თქმით, ეს ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, ზოგიერთი სასწავლო კურსის ლიტერატურის განახლებას, პროგრამის დაშვების წინაპირობას და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს

წარმოედგინათ მოსაზრებები.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათ ის რეკომენდაციები, რომელიც ექსპერტებმა გასცეს მიიჩნიეს აუცილებლად შესასრულებლად, რადგან აღნიშნული რეკომენდაციების მიზანია პროგრამის განვითარება და სრულყოფა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:56

დასრულების დრო: 14:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტლება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

8. მერვე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 714272, 15.07.2021,
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია 0732
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ. №98, ქუთაისი, 4600, საქართველო. სასწავლო კორპუსი № 7, 8, 9, 10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაღილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ალექსანდრე წაქაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული იყო 9 რეკომენდაცია. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ დაასკვნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულია. ექსპერტის თქმით, ეს რეკომენდაციები უმეტესად მოიცავდა ძირითადი საკითხების დამატებას, რომელშიც არის ცვლილებები შეტანილი. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ შესრულებულია ყველა რეკომენდაცია. საკითხები, რომელიც ეხებოდა ლიტერატურას, საუბარი იყო ძველ გამოცემაზე, შეცვლილია ახალი გამოცემებით. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და სამუშაო ჯგუფის მიერ, ექსპერტის თქმით, ყველა რეკომენდაცია მიღებული და გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს

წარმოედგინათ მოსაზრებები.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ ისინი შეეცადნენ, რომ ყველა რეკომენდაცია, რომელიც საბჭომ განსაზღვრა, გაეთვალისწინებინათ თავიდან ბოლომდე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:56

დასრულების დრო: 15:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგრიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 15:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

